



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ბრიკსის გაფართოება — წინაპირობები და
მოსალოდნელი საფრთხეები

ნიმუ მაჭარაშვილი

220

ეკსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნინო მაყარაშვილი

**ბრიკსის გაფართოება – წინაპირობები და
მოსალოდნელი საფრთხეები**

220

2024



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2024 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

2024 წლის 1 იანვარს ბრიკსი ოფიციალურად გაფართოვდა. წინასწარი ინფორმაციით, „გლობალური სამხრეთის“ წარმომადგენელთა კლუბს 6 სახელმწიფო – ეგვიპტე, ირანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი, ეთიოპია და არგენტინა – უნდა შეერთებოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება ბოლო წუთს შეცვალა. გადაწყვეტილების შეცვლას ხაჯიერ მილეის პრეზიდენტად არჩევას უკავშირებენ, რომელმაც, წინამორბედისაგან (ალბერტო ფერნანდესი) განსხვავებით, საგარეო პოლიტიკის ვექტორი „სამხრეთიდან“ „დასავლეთისკენ“ მიმართა.

მართალია, ჰეტეროგენულობის გამო, ბრიკსის დაშლის პროგნოზი მისი შექმნის დღიდანვე არსებობდა, მაგრამ ბლოკმა იმაზე მეტხანს გაძლო, ვიდრე ამას ვინმე მოელოდა. ამ დროის განმავლობაში ბრიკსის წევრთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და მასში განწევრიანების მსურველი ჯერ კიდევ ბევრია. გიგანტური ეკონომიკისა და დიდი ამბიციების მქონე ბრიკსის გაძლიერება ზრდის წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობას, ზეგავლენა მოახდინონ მსოფლიო წესრიგზე, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს მთელი დასავლური თავისუფალი სამყაროსათვის.

ჩვენი სტატიის ფარგლებში შევეცდებით მოკლედ ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: 1. რა არის ბრიკსი? 2. რა მოვლენებმა განაპირობა მისი გაფართოება? და 3. რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ ბლოკის გაძლიერებისაგან?

რა არის ბრიკსი?

2024 წლამდე ბრიკსი იყო მსოფლიოს ხუთი სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის გაერთიანება, რომელიც საკუთარ თავს დიდი შვიდეულის (G7-ის) ალტერნატივად მოიაზრებდა და აშშ-ისა და მისი მოკავშირეების დომინირების საერთაშორისო წესრიგის შეცვლას ცდილობდა.¹ ამ წესრიგით უკმაყოფილოები იყვნენ ბლოკის წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით, რუსეთი და ჩინეთი. ინდოეთის პრემიერმა ნარენდრამ მოდიმ თავის ტვიტერის პოსტში² ბრიკსს „გლობალური სამხრეთის ხმა“ კი უწოდა.

„ბრიკსი“ აკრონიმია, რომელიც წევრი სახელმწიფოების ინგლისური დასახელებებისგან არის შედგენილი: B – ბრაზილია, R – რუსეთი, I – ინდოეთი, C – ჩინეთი, S – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ბრიკსის იდეა წევრ სახელმწიფოებს არ ეკუთვნით. ტერმინი პირველად 2001 წელს ამერიკული საინვესტიციო ბანკის „გოლდმენ საქსის“ წამყვანმა ეკონომისტმა ჯიმ

1 ლუკა პერტაია. 2023. „რა არის „ბრიკსი“ და რატომაა იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე გგონიათ?“ *ხადო თავისუფლება*, აგვისტო 24, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/რა-არის-ბრიკსი-მარტივად/32562572.html>

2 Narendra Modi. 2023. „Had an excellent meeting with President @CyrilRamaphosa. We discussed a wide range of issues aimed at deepening India-South Africa relations. Trade, defence and“. *Twitter*, August 23, 2023. <https://twitter.com/narendramodi/status/1694264636080537807>

ოწილმა გამოიყენა თავის სტატიაში, სათაურით „Building better economic BRICs“.³ ოწილი ბლოკში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას არ მოიაზრებდა. ის წერდა, რომ მომავალ 10 წელიწადში ამ ოთხი ქვეყნის ეკონომიკა იმდენად გაიზრდებოდა, რომ წამყვანი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს დაჩრდილავდა. ოწილის ვარაუდმა ქვეყნის ლიდერებს გაერთიანებისკენ უბიძგა. ბრიკის პირველი ოფიციალური სამიტი 2009 წელს რუსეთში, ეკატერინბურგში, მოსკოვის ინიციატივით გაიმართა. მომდევნო წელს ბლოკში გასაწევრიანებლად მიიწვიეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც, როგორც კიდევ ერთი სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო. გაფართოება ოფიციალურად 2010 წელს მოხდა და ბრიკის საბოლოო სახით ჩამოყალიბდა.⁴

ბრიკსი, როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო წესრიგით უკმაყოფილოთა ეკონომიკური გაერთიანებაა, რომლის მიზანია G7-ის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ალტერნატივის შექმნა.

სტატისტიკას მონაცემებით, ჯერ კიდევ 2023 წელს (გაფართოებამდე) ბრიკსმა შეძლო და ეკონომიკის ზომით გადაუსწრო G7-ს, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი და მონივნავ ეკონომიკის მქონე 7 ქვეყნის (კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, გაერთიანებული სამეფო, აშშ) გაერთიანებას.⁵ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წარმატება, ძირითადად, ჩინეთისა და ინდოეთის დამსახურებაა. როგორც თავად ბრიკის იდეის ავტორი ჯიმ ოწილი აცხადებს⁶, ხუთიდან სამი ქვეყნის – რუსეთის, ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის – ეკონომიკური მნიშვნელობა ერთგვარად „შებრუნებულია“. საერთო ზომის სიდიდეს კი, მისი აზრითაც, სწორედ ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა განაპირობებს.

მსოფლიო ბანკისა და IMF-ის ალტერნატივად ბრიკის წევრმა სახელმწიფოებმა 2015 წელს „ახალი განვითარების ბანკი“ (New Development Bank (NDB)) ჩამოაყალიბეს, რომლის კაპიტალიც დღესდღეობით 50 მლრდ აშშ დოლარია. ბანკი ძირითადად აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს განვითარებად ქვეყნებში. როგორც მისმა ხელმძღვანელმა დილმა რუსეფმა Financial Times-თან საუბრისას აღნიშნა, მსოფლიო ბანკისა და IMF-ისაგან განსხვავებით, NDB-ი სესხების გაცემისთვის პოლიტიკურ პირობებს არ აწესებს, რაც დემოკრატიულ ღირებულებებთან მწყრალად მყოფი ქვეყნებისთვის საკმაოდ მიმზიდველი წინადადებაა.⁷

3 Jim O'Neill. 2001. „Building Better Global Economic BRICs.“ *Global Economics Paper No: 66*, November 30, 2001. <https://www.goldmansachs.com/intelligence/archive/archive-pdfs/build-better-brics.pdf>

4 Mariano Pascual. 2023. „The BRICS bloc is riven with tensions.“ *The Economist*, August 17, 2023. <https://www.economist.com/international/2023/08/17/the-brics-are-getting-together-in-south-africa>

5 Felix Richter. 2023. „The Rise of the BRICS.“ *Statista*, August 22, 2023. <https://www.statista.com/chart/30638/brics-and-g7-share-of-global-gdp/>

6 Jim O'Neill. 2021. „Two decades on, the BRICs promise lingers.“ *International Monetary Fund*, Summer, 2021. <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2021/06/jim-oneill-revisits-brics-emerging-markets.htm>

7 Michael Stott. 2023. „Brics Banks strives to reduce reliance on the dollar.“ *Financial Times*, August 22, 2023. <https://www.ft.com/content/1c5c6890-3698-4f5d-8290-91441573338a>

გარდა ამისა, ბრიკსის ერთ-ერთი მთავარი მიზანია „დედოლარიზაცია“ – დოლარის დომინირების შესუსტება, რაც გარკვეულწილად ამერიკული გავლენების შესუსტებასაც გულისხმობს. ამ მიზნის მისაღწევად ბლოკი ამ ეტაპზე საერთო ვალუტისა და SWIFT-ის ალტერნატიული სისტემის შექმნაზე მუშაობს.⁸ მართალია, ჯერჯერობით ეს ყველაფერი შორეულ პერსპექტივად მოჩანს, თუმცა არც ისე მიუღწეველია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი წევრი სახელმწიფოების, უფრო მეტად რუსეთისა და ჩინეთის, მოტივაციები. კერძოდ, SWIFT-ის სისტემიდან რუსეთისა და რუსული ბანკების გაძევებაზე საუბარი 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ დაიწყო, 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ კი ისევ გააქტიურდა. რაც შეეხება ჩინეთს, მისი სანქციების რისკები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აშშ-ჩინეთის 2018 წლის სავაჭრო ომის შემდეგ. მართალია, როგორც რუსეთს (SPFS), ისე ჩინეთს (CIPS) აქვთ თავიანთი ტრანსფერების სისტემა, თუმცა რუსეთის შემთხვევაში ის გეოგრაფიული არეალით⁹, ჩინეთის შემთხვევაში კი ვალუტით¹⁰ შემოისაზღვრება.¹¹ სწორედ ამიტომ საერთო ალტერნატიული ტრანსფერების სისტემის განვითარება ორივე სახელმწიფოსათვის ხელსაყრელია, რამაც პოტენციურად ფინანსურ სისტემაში აშშ-ის დომინირების შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.

გაფართოება რომ გაძლიერების ერთ-ერთი გზა იყო, კარგად ესმოდათ ბრიკსის ლიდერებს. სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაახლოების მიზნით ჩინეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2017 წლის სამიტზე გააუღერა „ბრიკსი პლუსის“ იდეა. მართალია, ამ იდეამ 2017 წელს ვერ, მაგრამ 2024 წელს ხორცი შეისხა, თუმცა ბრიკსის სახელი იგივე დარჩა და ცვლილება არც ამ ეტაპზე იგეგმება.¹²

ბრიკსის გაფართოების წინაპირობები

კოვიდპანდემიის პერიოდში საზღვრების ჩაკეტვამ და სახელმწიფოთა იზოლირებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა გლობალიზაციის პროცესი. არსებობდა მოლოდინი, რომ პანდემიის დასრულებისთანავე გლობალიზაცია ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა, თუმცა რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ეს მოლოდინი ვერ გაამართლა. დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ხელი

8 Joe Sullivan. 2023. „A BRICS Currency Could Shake the Dollar’s Dominance.“ *Foreign Policy*, April 24, 2023. https://foreignpolicy.com/2023/04/24/brics-currency-end-dollar-dominance-united-states-russia-china/#cookie_message_anchor

9 რუსეთის გარდა, მოქმედებს მხოლოდ სომხეთში, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ნაწილობრივ თურქეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და ყაზახეთში.

10 მხოლოდ იანების ტრანზაქციაზე მუშაობს.

11 Huileng Tan. 2022. „China and Russia are working on homegrown alternatives to the SWIFT payment system. Here’s what they would mean for the US dollar.“ *Business Insider*, April 29, 2022. <https://www.businessinsider.com/china-russia-alternative-swift-payment-cips-sfps-yuan-ruble-dollar-2022-4>

12 Jim Spellman. 2017. „China’s “BRICS Plus” brings more developing economies to trade table.“ *CGTN AMERICA*, September 4, 2017. <https://america.cgtn.com/2017/09/04/china-2017-summit-brics-plus>

შეუწყო ენ. კონფრონტაციული გლობალიზაციის პროცესს. მსოფლიოს ქვეყნები სამ ნაწილად დაიყო: 1. რომლებიც შეუერთდნენ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, 2. რომლებიც არ შეუერთდნენ მათ და 3. რომლებმაც საჯაროდ დაუჭირეს რუსეთს მხარი. სანქციების მიუხედავად, თავად სანქციის დამწესებელი ქვეყნები პირდაპირ თუ ირიბად მაინც აგრძელებდნენ რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას, მაგალითად, აშშ ინდოეთისაგან ყიდულობდა ნავთობპროდუქტს, როდესაც იცოდა, რომ თავად ინდოეთი ნედლ ნავთობს რუსეთისგან იღებდა; ასევე არ ადებდა სანქციებს იმ საქონელს, რომელიც დასავლეთისათვის მნიშვნელოვანი იყო, მეტიც, იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც დასანქცირებულ საქონელს სანქციებიც კი მოუხსნეს (მაგ., სასუქს).¹³ სწორედ ამ მოვლენების ფონზე გაუჩნდათ ბრიკსის ქვეყნებს ამბიციის, მსოფლიოში შექმნილი ვითარება დაებლანსებინათ. მათ აქტიურად დაიწყეს ეროვნულ ვალუტაში ვაჭრობა, გააძლიერეს ახალი საერთო ვალუტის შექმნაზე მუშაობა და სხვა. რუსეთის აქტივების დაბლოკვა ბევრმა სახელმწიფომ საკუთრების უფლების შელახვადაც კი მიიჩნია და ამით უკმაყოფილოებმა ბრიკსში განვერიანების სურვილი გამოთქვეს. მსურველთა შორის აღმოჩნდნენ როგორც დასავლეთთან მტრული (მაგ., ირანი), ისე პარტნიორული (მაგ., საუდის არაბეთი) ურთიერთობის მქონე სახელმწიფოები. მათმა საერთო რაოდენობამ 40-ს გადააჭარბა, თუმცა 2023 წელს იოჰანესბურგში გამართულ ბრიკსის სამიტზე ცნობილი გახდა იმ სახელმწიფოების ზუსტი სია, რომლებიც ბლოკს 2024 წლიდან ოფიციალურად შეუერთდებოდნენ, ესენია: საუდის არაბეთი, ირანი, ეთიოპია, ეგვიპტე, არგენტინა და არაბთა გაერთიანებული საემიროები.¹⁴

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არაერთგვაროვანი შემადგენლობის გამო ბრიკსის კონსენსუსზე დაფუძნებული მიდგომა წარსულში ნაკლებად ეფექტური იყო, თუმცა წევრთა განსხვავებულობას ბლოკის გაფართოებისათვის ხელი არ შეუშლია. ამიტომ საინტერესოა, რა ფაქტორები უსწრებდა წინ თითოეული წევრი სახელმწიფოს თანხმობას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „ბრიკსი ჩინეთია“¹⁵, შესაბამისად, ბლოკის გაფართოება დიდწილად სწორედ ჩინეთის ინტერესების დაკმაყოფილებად და მისივე დიპლომატიურ გამარჯვებად განიხილება. ჩინეთმა მოაგვარა დეესკალაცია როგორც თავად ბლოკის წევრებს, ისე პოტენციურ წევრებს შორის: ინდოეთი და ბრაზილია, როგორც შეერთებული შტატების პარტნიორი ქვეყნები, დიდად მოხიბლული არ იყვნენ ამ შემადგენლობით (ძირითადად, ირანის გამო)

13 ვლადიმერ პაპავა. 2023. „რა გავლენა ექნება „ბრიკსის“ გაფართოებას საერთაშორისო დღის წესრიგზე?“, მაჩაიძე, რუსა, კვიჩის პატიჯია, აგვისტო 28, 2023 <https://kvispalitra.ge/article/106953- ra-gavlena-ekneba-briksis-gapartoebas-saertashoriso-dgis-cesrigze/>

14 Samantha Granville. 2023. „Brics summit: Is a new bloc emerging to rival US leadership?“ *BBC*, August 23, 2023. <https://www.bbc.com/news/world-africa-66609633>

15 DiEM25 Communications. 2023. „Yanis Varoufakis reveals the truth behind BRICS.“ *DIEM25*, September 26, 2023. <https://diem25.org/yanis-varoufakis-reveals-the-truth-behind-brics/>

გაფართოებაზე, თუმცა სი ძინპინმა მათგან თანხმობის მიღება მაინც შეძლო. ასევე საუდის არაბეთის, ირანისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ბლოკში განუვრიანება წარმოუდგენელი იქნებოდა მათი დიპლომატიური შერიგების გარეშე, რაც სის ინიციატივითა და ინტენსიური ჩართულობით მოხდა. ბრიკსის გაფართოება ჩინეთს კიდევ უფრო ძლიერსა და გავლენიანს ხდის შტატებთან დაპირისპირებაში.¹⁶

სამიტზე **ინდოეთის** პრემიერ-მინისტრის ნარენდრა მოდისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას გაფართოების მართვა წარმოადგენდა. ის, ერთი მხრივ, ცდილობდა შეენარჩუნებინა დამფუძნებელი წევრის პრივილეგიებული სტატუსი, მეორე მხრივ კი, შენინააღმდეგებოდა ჩინეთის დომინირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოდის უწევდა განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოეხატა ახალი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რათა გაება-თილებინა გავრცელებული სპეკულაციები, თითქოს ინდოეთი გაფართოების წინააღმდეგი იყო.¹⁷ სიმართლე რომ ითქვას, ახალი წევრების სია მოდისთვის შეიძლება უარესიც კი ყოფილიყო. მცირე თავის ტკივილს მხოლოდ ირანის დამატება ინვევს, რაც ჯგუფის ანტიდასავლურ რეპუტაციას აძლიერებს და შტატებთან ინდოეთის პარტნიორულ ურთიერთობებს საფრთხეს უქმნის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრიკსის ფორმატში ინდოეთს აქვს ჩინეთთან პოლიტიკური „ვაჭრობის“ შესაძლებლობა. მართალია, მოდის სისტან პირისპირ შეხვედრებს დახურულ თუ არაფორმალურ გარემოში ჯერჯერობით ხელშესახები დიპლომატიური შედეგები არ გამოუღია, თუმცა პროგრესი მაინც შეიმჩნევა.

ბრაზილიის მდგომარეობა შედარებით არასახარბიელოა. პრეზიდენტ ლულასთვის დამახასიათებელი პოლიტიკაა შუამავლის როლით საკუთარი პოზიციების გამყარება. თუმცა, შტატებსა და ჩინეთს შორის არსებული კონკურენციით გამოწვეულ სულ უფრო პოლარიზებულ სამყაროში ბრაზილიას კიდევ უფრო მეტად უჭირს საკუთარი პოლიტიკის გატარება. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩინეთმა ბლოკის გაფართოება მისი პრეტენზიების მიუხედავად შეძლო. ლულა, დასავლეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ბრიკსი არის არა G7-ის, G20-ისა თუ შეერთებული შტატების კონკურენტი,¹⁸ არამედ განვითარებადი ქვეყნების ორგანიზების მიზნით შექმნილი ეკონომიკური ხასიათის გაერთიანება. ამის საპირისპიროდ, სი ძინპინმა ბლოკს უფრო მეტი დატვირთა შესძინა და ჩამოაყალიბა ხედვა, რომლის მიხედვითაც ბრიკსმა გლობალური მმართველობის რეფორმაზე და წევრ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური

16 Heather Ashby, Daniel Markey, Kirk Randolph, Kirtika Sharad, Henry Tugendhat, Aly Verjee. 2023. „What BRICS Expansion Means for the Bloc’s Founding Members.“ *United States Institute of Peace*, August 30, 2023. <https://www.usip.org/publications/2023/08/what-brics-expansion-means-blocs-founding-members>

17 Sumayya Ismail. 2023. „India ‘fully supports’ BRICS expansion as summit continues.“ *ALJAZEERA*, August 23, 2023. <https://www.aljazeera.com/news/2023/8/23/india-fully-supports-brics-expansion-as-summit-continues>

18 Sao Paulo. 2023. „Brazil’s Lula in favor of Argentina joining BRICS bloc.“ *REUTERS*, August 22, 2023. <https://www.reuters.com/world/brazils-lula-says-brics-not-meant-challenge-g7-us-2023-08-22/>

თანამშრომლობის გაფართოებაზე უნდა იმუშაოს.¹⁹ ეს ხედვა ისევე, როგორც ირანის ახალ წევრად მიღება, უარყოფს პრეზიდენტი ლულას მტკიცებას, თითქოს ჯგუფს არ აქვს ანტიდასავლური პოზიცია და ბრაზილიას შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში დღითიდღე არ აყენებს არასახარბიელო მდგომარეობაში. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული განსხვავებული პოზიციონირებისა, ფაქტია, რომ ბრაზილია დათანხმდა ჩინეთს გაფართოებაზე. მას სურს გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, რაშიც ჩინეთის მხარდაჭერის იმედი აქვს.²⁰ სწორედ ამით აიხსნება მისი თანხმობა. დიდი ალბათობით, კომპრომისი ცალმხრივი აღმოჩნდება, რადგან ჩინეთმა თავისი ინტერესები უკვე დაიკმაყოფილა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმა კი ნაკლებად სავარაუდოა.

ბლოკის გაფართოება მეტ-ნაკლებად მომგებიანია **სამხრეთ აფრიკის ხესპუბლიკისათვის**. ის ბლოკის ყველაზე პატარა და ეკონომიკურად უმნიშვნელო წევრია და, შესაბამისად, ბრიკსში მისი წევრობა სიმბოლურია. გაფართოება კიდევ უფრო მეტად შეამცირებს სამხრეთაფრიკის მნიშვნელობას. მისთვის განსაკუთრებით ღირებული ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობებია, რომელიც დღითიდღე უფრო მჭიდრო ხდება. ჩინეთი რომ სამხრეთ აფრიკით დაინტერესებულია, ამაზე მათი გახშირებული ვიზიტები, ორმხრივი ხელშეკრულების გაძლიერება და ინვესტიციების ზრდაც მეტყველებს.²¹ შესაბამისად, გაფართოებაზე სამხრეთ აფრიკის თანხმობა შეიძლება პარტნიორულ მხარდაჭერადაც მივიჩნიოთ.

რაც შეეხება **ხუსთს**, უკრაინის წინააღმდეგ ომის გამო მისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციებისა და საერთაშორისო დაგმობის ფონზე, ბრიკსი მოსკოვისთვის იქცა იზოლირებიდან თავის დაღწევის შესაძლებლობად. რუსეთს ბრიკსი და ბრიკსის გაფართოებაც სავარაუდო პოლიტიკის განვითარებისა და სანქციების გამო არსებული ეკონომიკური შოკის შესამცირებლად სჭირდება. ასევე, პუტინისათვის საკმაოდ ხელსაყრელია ბრიკსში ირანის დამატება, რადგან მისი სახით ბლოკს კიდევ ერთი ანტიდასავლური და სანქცირებული წევრი ემატება.²² რუსეთის პერსპექტივიდან ბრიკსი და მისი ახალი წევრები რუსეთის მთავრობას შესაძლებლობას მისცემენ, კიდევ უფრო გააძლიეროს პუტინის მმართველობის ამოსავალი წერტილის – მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის – იდეის განხორციელება.

19 Heather Ashby, Daniel Markey, Kirk Randolph, Kirtika Sharad, Henry Tugendhat, Aly Verjee. 2023. „What BRICS Expansion Means for the Bloc’s Founding Members.“ *United States Institute of Peace*, August 30, 2023. <https://www.usip.org/publications/2023/08/what-brics-expansion-means-blocs-founding-members>

20 Heather Ashby, Daniel Markey, Kirk Randolph, Kirtika Sharad, Henry Tugendhat, Aly Verjee. 2023. „What BRICS Expansion Means for the Bloc’s Founding Members.“ *United States Institute of Peace*, August 30, 2023. <https://www.usip.org/publications/2023/08/what-brics-expansion-means-blocs-founding-members>

21 Xie Wenting, Chen Qingqing. 2023. „China-South Africa friendship at new historical starting point: Xi.“ *Global Times*, August 22, 2023 <https://www.globaltimes.cn/page/202308/1296764.shtml>

22 Sumayya Ismail. 2023. „A wall of BRICS’: The significance of adding six new members to the bloc.“ *ALJAZEERA*, August 24, 2023. <https://www.aljazeera.com/news/2023/8/24/analysis-wall-of-brics-the-significance-of-adding-six-new-members>

რაც შეეხება ახალ წევრებს, ბრიკსს აქვს გლობალური სამხრეთის ხმების მობილიზების პოტენციალი, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის, რადგან დასავლური ინსტიტუტები და მთავრობები ხშირად უგულებელყოფენ ხოლმე განვითარებადი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა, გარდა ამისა, თითოეულ ახალ წევრს ბლოკში განწევრიანების ინდივიდუალური ინტერესი და სპეციფიკური სარგებლიანობა აქვს.

ბლოკში განწევრიანება **იხანის** მთავრობისათვის არის თეოკრატიის ლეგიტიმაციისა და საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც დასავლეთი აქტიურად ცდილობს ირანის „გარიყულად“ გამოცხადებას.²³ ჩინეთისთვის მთავარი ნავთობის მიწოდებლის სტატუსი კი მას სხვაგვარ სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენს. სწორედ დიდი რაოდენობით გაზისა და ნავთობის მარაგი იყო ის არგუმენტი, რაც დაეხმარა ჩინეთსა და რუსეთს, ბრაზილია, პრეტორია და ნიუ-დელი ირანის ბლოკში განწევრიანების სარგებლიანობაში დაერწმუნებინა.²⁴ ბრიკსში განწევრიანება ირანის ეკონომიკას ერთ დღეში ვერ გარდაქმნის, თუმცა ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობა ნამდვილად არის აშშ-ის სანქციების გამო დაზიანებული ეკონომიკის გაჯანსაღების შესაძლებლობა.

მასიური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის წინაშე მდგარი **ეგვიპტის** ბლოკში განწევრიანება წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უფრო სტრატეგიულ ნაბიჯად მიიჩნიონ. კაიროს აქვს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა. სუეცის არხის კონტროლსა და ახლად აღმოჩენილ გაზის საბადოებს სამომავლოდ დიდი მოგების მოტანა შეუძლიათ. ეგვიპტე კი ბრიკსის ქვეყნებს პოტენციურ ბაზრებად ხედავს. მას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და უცხოური ვალუტის დეფიციტის შემსუბუქება სურს. ასევე, მისთვის მიმზიდველია ისეთი სესხის პერსპექტივა, რომლის დაფარვაც დოლარში არ მოუწევს.²⁵

ეთიოპიის მთავარი მოტივაცია, როგორც მისთვის, ისე ბრიკსის წევრებისათვის, ბლოკში აფრიკის წარმომადგენლობის გაზრდაა. ეთიოპიას მიაჩნია, რომ მისი დამატება ბლოკს მისცემს შესაძლებლობას, მობილიზაცია გაუწიოს აფრიკის ქვეყნებს, რაც უზრუნველყოფს ისეთი საერთაშორისო წესრიგის შექმნას, სადაც გლობალური სამხრეთის ხმა სათანადოდ გაჟღერდება.²⁶

23 Ahmed Rafat. 2020. „How Iran Has Turned Itself Into a Pariah State.“ *KAYHANLIFE*, February 11, 2020. <https://kayhanlife.com/news/kayhan/analysis-how-iran-has-turned-itself-into-a-pariah-state/>

24 Robert Looney. 2023. „The BRICS Expansion: Why?“ *MILKEN INSTITUTE REVIEW*, November 29, 2023. <https://www.milkenreview.org/articles/the-brics-expansion-why>

25 Patrick Werr. 2023. „Egypt hopes BRICS entry will lure foreign cash, but analysts counsel patience.“ *REUTERS*, August 29, 2023. <https://www.reuters.com/world/africa/egypt-hopes-brics-entry-will-lure-foreign-cash-analysts-counsel-patience-2023-08-25/>

26 Robert Looney. 2023. „The BRICS Expansion: Why?“ *MILKEN INSTITUTE REVIEW*, November 29, 2023. <https://www.milkenreview.org/articles/the-brics-expansion-why>

საუღის ახაბეთისა და **ახაბთა გაჟიტიანებუღი საემიიოების** ინტერესს არადასავლურ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს, რაც ზრდის მათ კავშირებს და დამატებით დაბრკოლებას უქმნის შვერთებულ შტატებს. ასევე, რიადისა და აბუ-დაბის სურვილია, განიხილებოდნენ არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ ლიდერებად, რაშიც, მათი აზრით, ბრიკსში განვერიანება დაეხმარებათ. საუღის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ნვერობა ბლოკს ახალ ინვესტიციებსა და სავაჭრო შესაძლებლობებს მოუტანს, რადგან რიადი ცდილობს არაწიაღისეული სანვაკით მრენველობის სწრაფ დივერსიფიკაციას, ხოლო დუბაი კი წამყვანი ფინანსური ცენტრია რეგიონში.²⁷

ახგენგინის ყოფილ პრეზიდენტს, ალბერტო ფერნანდესს, ბრიკსში განვერიანება ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად სურდა. ახალმა პრეზიდენტმა ხაკიერ მილეიმ კი 29 დეკემბერს ბრიკსის ქვეყნების ლიდერებისთვის დაწერილი წერილი გამოაქვეყნა,²⁸ სადაც აღნიშნავდა, რომ ახლა არგენტინისათვის ბლოკში გასანვერიანებლად ხელსაყრელი დრო არ არის. მილეიმ ბრიკსში განვერიანებაზე უარი ჩინეთის დომინანტური როლისა და დასავლეთთან მზარდი დაპირისპირების გამო თქვა. არგენტინის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი „დასავლეთითაა“ მიმართული, თუმცა მილეი ბლოკის ნვერებთან ეკონომიკური თანამშრომლობის სურვილს გამოხატავს.²⁹

განსხვაებული სახელმწიფოების საერთო ინტერესებმა ბრიკსის გაფართოება რეალური გახადა, საინტერესოა, რა როლი ექნება გაძლიერებულ ბლოკს საერთაშორისო წესრიგში.

ბრიკსის გაფართოებიდან მომდინარე საფრთხეები

2024 წლისთვის 10 ნვერისაგან შემდგარი ბრიკსის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3.5 მილიარდს, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 45%-ს აჭარბებს, მისი ეკონომიკის ზომა 28.5 ტრილიონ აშშ დოლარს სცდება, რაც მსოფლიო ეკონომიკის 28%-ს აღემატება. ამასთან, ბლოკის ნვერი ქვეყნები მსოფლიოში გაყიდული ნავთობის 44%-ს აწარმოებენ.³⁰ ეს ციფრები ცხადყოფს, რომ ბრიკსი წამდვილად ანგარიშგასაწვეი ძალაა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბლოკი ერთიანი ვალუტის

27 Atlantic Council experts. 2023. „BRICS is doubling its membership. Is the bloc a new rival for the G7?“ *Atlantic Council*, August 24, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/experts-react/brics-is-doubling-its-membership-is-the-bloc-a-new-rival-for-the-g7/>

28 John Crace. 2023. „Milei says Argentina will not be joining Brics bloc in policy reversal.“ *The Guardian*, December 29, 2023. <https://www.theguardian.com/world/2023/dec/29/milei-argentina-brics-bloc>

29 ლუკა პერტაია. 2024. „ბიკსი გაფართოვდა, მაგრამ ექვის ნაცვლად ხუთი ნვერით - რატომ ამბობს არგენტინა უარს?“ *ადიო თავისუფლება*, იანვარი 3, 2024 <https://www.radiotavisupleba.ge/a/ბრიკსი-გაფართოვდა-მაგრამ-ექვის-ნაცვლად-ხუთი-ნვერით-რატომ-ამბობს-არგენტინა-უარს-/32758703.html>

30 „Brics: What is the group and which countries are joining?“ *BBC*, დეკემბერი 29, 2023. <https://www.bbc.com/news/world-66525474>

შექმნაზე მუშაობს და ამერიკელი ეკონომისტები უკვე მსჯელობენ საგარეო ვაჭრობაში დოლარის დაზიანების პოტენციურ შესაძლებლობებზე. დოლარის სხვა ვალუტით ჩანაცვლება ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან მაშინ, როდესაც საუბარია ნდობაზე დაფუძნებულ ფულზე, მნიშვნელოვანია, რომ ამ ფულის უკან შეერთებული შტატების მსგავსი დემოკრატიული სახელმწიფო იდგეს. ბრიკსის ვალუტას კი ნდობის მოპოვება არადემოკრატიული წევრი სახელმწიფოების გამო ძალიან გაუჭირდება. თუმცა არსებობს იმის ალბათობაც, რომ ბრიკსმა თავისი ვალუტა ოქროს მიაბას, რაც მსოფლიო ეკონომიკაში თვისებრივად ახალ გარემოს შექმნის.³¹ ბრიკსის სახელმწიფოები საერთო ვალუტის შექმნამდე ეროვნულ ვალუტებში ვაჭრობის გაძლიერებას გეგმავენ, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა ახლა ვინმეს რუსული რუბლი ან ინტერნაციონალიზაციის პრობლემების მქონე იუანი უნდოდეს.

ამ ეტაპზე ასევე გაურკვეველია რამდენად ეფექტური იქნება ჩინეთის მიერ NDB-ის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები, რა რაოდენობის დაფინანსებას მიიღებს როგორც არსებული, ისე ახალი წევრებისგან ან შეძლებს თუ არა NDB გამოირჩეოდეს სამხრეთის განვითარების ბანკებისგან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრიკსის არსებობის განმავლობაში მის მთავარ პრობლემას წევრებს შორის არსებული დაპირისპირებები იწვევდა, რაც გაფართოებით არა თუ მცირდება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად იზრდება. ბრიკსის გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება, კონსენსუსის მიღწევა კი განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობის, ეკონომიკისა და ინტერესების მქონე წევრებს შორის საკმაოდ გართულდება. შესაძლოა, ლიდერები ზოგად პრინციპებზე მარტივად შეთანხმდნენ, თუმცა ბრიკსის ამბიციურ მისწრაფებებზე (მაგ., საერთო ვალუტაზე) კონსენსუსი ნამდვილად გაჭირდება. მეტი ეფექტურობისათვის ბლოკს მოუწევს შიდა შეთანხმების სტრუქტურის შეცვლა. მანამდე კი უმჯობესი იქნება პირველი გადაწყვეტილებები ნაკლებად სადავო საკითხებზე მიიღონ. ამასთან, სავარაუდოა, რომ ამ და შემდეგმა გაფართოებებმა ბრიკსს დაუკარგოს გეოეკონომიკური ხასიათი და სხვადასხვა ეკონომიკისაგან შემდგარ გეოპოლიტიკურ გაერთიანებად აქციოს.³²

ამ რისკების ფონზე გაფართოება წევრი სახელმწიფოებისათვის უფრო მეტად გამონწვევას წარმოადგენს, ვიდრე შესაძლებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია G7-ის, მსოფლიო ბანკისა და IMF-ის ალტერნატიული ინსტიტუტების შექმნაზე. შესაძლოა, ბრიკსში განწევრიანება ჯერჯერობით მიმზიდველ წინადადებად ჩანდეს გლობალური სამხრეთის ქვეყნებისათვის, რასაც განწევრიანების მსურველთა რაოდენობის ზრდაც მოწმობს, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია

31 ვლადიმერ პაპავა. 2023. „რა გავლენა ექნება „ბრიკსის“ გაფართოებას საერთაშორისო დღის წესრიგზე?“, მაჩაიძე, რუსა, *კვირის პატივია*, აგვისტო 28, 2023 <https://kvisripalitira.ge/article/106953-ra-gavlena-ekneba-briksis-gapartoebas-saertashoriso-dgis-cesrigze/>

32 Atlantic Council experts. 2023. „BRICS is doubling its membership. Is the bloc a new rival for the G7?“ *Atlantic Council*, August 24, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/experts-react/brics-is-doubling-its-membership-is-the-bloc-a-new-rival-for-the-g7/>

მხოლოდ გაფართოების უარყოფითი მხარეების გამოაშკარავებამდე გაგრძელდეს. გაფართოებული ბრიკსი ნამდვილად იქნება მნიშვნელოვანი ფორუმი გლობალური სამხრეთის ქვეყნების საუბრებისთვის, მაგრამ ალბათ ეს არის მაქსიმუმი, რადაც ის შეიძლება ჩამოყალიბდეს. დღეს ნაკლებსავარაუდოა, რომ ბრიკსმა შეძლოს პოლიტიკურად გარდაიქმნას G7-ის ძლიერ ალტერნატივად. უფრო დიდი ალბათობა იმისა, რომ ის იქნება G20-ის მსგავსი დიდი ჯგუფი სამდივნოს და იურიდიული უფლებამოსილების გარეშე, რომელსაც ფუნქციონირებისათვის კონსენსუსი არ სჭირდება.³³

მართალია, საერთაშორისო ასპარეზზე გამოსაჩინად ბრიკსმა ჯერ შიდა უთანხმოებები უნდა მოაგვაროს, თუმცა ეს არ აძლევს დასავლეთს, განსაკუთრებით კი შეერთებულ შტატებს, მოდუნების შესაძლებლობას. ბრიკსის გაფართოებით ყველაზე მეტად ჩინეთი და ინდოეთი ძლიერდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები დასუსტებულია. უკრაინისთვის იარაღის მიწოდების გამო დაცლილი საწყობების შევსებას ევროპული ქვეყნები შეერთებული შტატებისაგან იარაღის ყიდვით ცდილობენ, რაც აძლიერებს ამერიკის ეკონომიკას. პოლიტიკურად ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული შტატების ახალ პრეზიდენტზე და მის არჩევანზე „მშვიდობისა“ და „ომის“ პოლიტიკას შორის. სწორედ ეს გადაწყვეტს ბრიკსისა და მისი ლიდერების სამომავლო მიზნებს.³⁴ მთავარი მოწინააღმდეგეები არიან დასავლეთის მხრიდან – შტატები, ბრიკსის მხრიდან – ჩინეთი და შედარებით ნაკლებად – ინდოეთი. რუსეთი ამ თამაშიდან როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად გარიყულია. სხვა ქვეყნები კი ფსონების სწორად გადანაწილებით არიან დაკავებული.

ამ დაპირისპირებაში საქართველოს პოზიციებს „ამხელს“ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება და ხელისუფლების წარმომადგენელთა გახშირებული ვიზიტები პეკინში.³⁵ ამან შესაძლოა დააზიანოს საქართველოს რეპუტაცია დასავლელი ლიდერების თვალში, თანაც მაშინ, როდესაც ქვეყანამ ეს-ესაა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო. რამდენად მომგებიანი იქნება ფსონების ასე გადანაწილება, ამას დრო გვიჩვენებს.

33 Heather Ashby, Daniel Markey, Kirk Randolph, Kirtika Sharad, Henry Tugendhat, Aly Verjee. 2023. „What BRICS Expansion Means for the Bloc’s Founding Members.“ *United States Institute of Peace*, August 30, 2023. <https://www.usip.org/publications/2023/08/what-brics-expansion-means-blocs-founding-members>

34 ვლადიმერ პაპავა. 2023. „რა გავლენა ექნება „ბრიკსის“ გაფართოებას საერთაშორისო დღის წესრიგზე?“, მარაიძე, რუსა, *კვიჩის პატივია*, აგვისტო 28, 2023 <https://kvispalitra.ge/article/106953-rra-gavlena-ekneba-briksis-gapartoebas-saertashoriso-dgis-cesrigze/>

35 „საქართველომ და ჩინეთმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ.“ *ხადიო თავისუფლება*, ივლისი 31, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32527175.html>

დასკვნა

ბრიკსის წევრი სახელმწიფოებისათვის კონფრონტაციული გლობალიზაციის ჩამოყალიბება მსოფლიოში შექმნილი წესრიგის დაბალანსების შესაძლებლობად იქცა, რაც მიმზიდველი აღმოჩნდა გლობალური სამხრეთის ქვეყნებისათვის და, საბოლოოდ, ბლოკის გაფართოებით დასრულდა. ჰეტეროგენულობის მიუხედავად, ბლოკის წევრებმა შეძლეს კონსენსუსის მიღწევა, რაც დიდწილად ჩინეთის დიპლომატიური გამარჯვებაა. ინდოეთმა, ბრაზილიამ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ თანხმობა ჩინეთისაგან მოსალოდნელ სარგებელში „გაცვალეს“, რუსეთმა კი ეს უბრალოდ უკრაინის ომის ფონზე შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებიდან გამოსასვლელად გააკეთა. მეორე მხრივ, ბრიკსში გაწევრიანება ირანისათვის – საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნების, ეგვიპტისათვის – ახალი ეკონომიკური პერსპექტივების აღმოჩენის, ეთიოპიისათვის – აფრიკის ხმის გაჟღერების, საუდის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებული საემიროებისათვის კი გლობალურ ლიდერებად ჩამოყალიბების შესაძლებლობაა. ახალ წევრთა ჩამონათვალს არგენტინა თავის ნებით გამოაკლდა და „სამხრეთულ გზას“ „დასავლური გზა“ ამჯობინა.

საბოლოოდ, 2024 წელს ბრიკის 10 წევრისაგან შემდგარ გაერთიანებად იქცა, რომლის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი, ეკონომიკური ზომა კი მსოფლიო ეკონომიკის თითქმის მესამედია. უფრო დიდია ბლოკის ამბიციები. ბრიკსის მიმდინარე მიზნებს – საერთო ვალუტის შექმნასა და NDB-ის გაძლიერებას – შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს დასავლურ ინსტიტუტებზე, შეამციროს G7-ის, მსოფლიო ბანკისა და IMF-ის დომინაცია. თუმცა, ამ მიზნების მიღწევამდე წევრ სახელმწიფოებს შიდა უთანხმოებების გადალახვა მოუწევთ, რაც ყოველთვის წარმოადგენდა ბლოკისათვის გამოწვევას. ამასთან, ბრიკსის წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული აშშ-ის ახალ პრეზიდენტსა და მის არჩევანზე „ომისა“ და „მშვიდობის“ პოლიტიკას შორის.

დღევანდელი მოცემულობით საეჭვოა ბრიკის G7-ის ძლიერ კონკურენტად ჩამოყალიბდეს და უფრო მოსალოდნელია, რომ ის G20-ის მსგავს გაერთიანებად გარდაიქმნას. ამასთან, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრიკის მასთან დაკავშირებულ უარყოფით მოლოდინს (დაშლაზე, კონსენსუსის ვერ მიღწევაზე, გაფართოების ჩაშლაზე) ხშირად არ ამართლებდა და ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

ბიბლიოგრაფია

- პაპავა, ვლადიმერ. 2023. „რა გავლენა ექნება „ბრიკსის“ გაფართოებას საერთაშორისო დღის წესრიგზე?“, მახაიძე, რუსა, კვიციხის პატიჯია, აგვისტო 28, 2023 <https://kvispalitra.ge/article/106953-ra-gavlenna-ekneba-briksis-gapartoebas-saertashoriso-dgis-cesrigze/>
- პერტაია, ლუკა. 2023. „რა არის „ბრიკსი“ და რატომაა იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე გგონიათ?“ *ჩაილო თავისუფლება*, აგვისტო 24, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/რა-არის-ბრიკსი-მარტივად/32562572.html>
- პერტაია, ლუკა. 2024. „„ბრიკსი“ გაფართოვდა, მაგრამ ექვსის ნაცვლად ხუთი წევრით - რატომ ამბობს არგენტინა უარს?“ *ჩაილო თავისუფლება*, იანვარი 3, 2024 <https://www.radiotavisupleba.ge/a/ბრიკსი-გაფართოვდა-მაგრამ-ექვსის-ნაცვლად-ხუთი-წევრით-რატომ-ამბობს-არგენტინა-უარს-/32758703.html>
- „საქართველომ და ჩინეთმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ.“ *ჩაილო თავისუფლება*, ივლისი 31, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32527175.html>
- Ashby Heather, Markey Daniel, Randolph Kirk, Sharad Kirtika, Tugendhat Henry, Verjee Aly. 2023. „What BRICS Expansion Means for the Bloc’s Founding Members.“ *United States Institute of Peace*, August 30, 2023. <https://www.usip.org/publications/2023/08/what-brics-expansion-means-blocs-founding-members>
- Atlantic Council experts. 2023. „BRICS is doubling its membership. Is the bloc a new rival for the G7?“ *Atlantic Council*, August 24, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/experts-react/brics-is-doubling-its-membership-is-the-bloc-a-new-rival-for-the-g7/>
- „Brics: What is the group and which countries are joining?“ *BBC*, დეკემბერი 29, 2023. <https://www.bbc.com/news/world-66525474>
- Crace, John. 2023. „Milei says Argentina will not be joining Brics bloc in policy reversal.“ *The Guardian*, December 29, 2023. <https://www.theguardian.com/world/2023/dec/29/milei-argentina-brics-bloc>
- DiEM25 Communications. 2023. „Yanis Varoufakis reveals the truth behind BRICS.“ *DIEM25*, September 26, 2023. <https://diem25.org/yanis-varoufakis-reveals-the-truth-behind-brics/>
- Granville, Samantha. 2023. „Brics summit: Is a new bloc emerging to rival US leadership?“ *BBC*, August 23, 2023. <https://www.bbc.com/news/world-africa-66609633>
- Ismail, Sumayya. 2023. „India ‘fully supports’ BRICS expansion as summit continues.“ *ALJAZEERA*, August 23, 2023. <https://www.aljazeera.com/news/2023/8/23/india-fully-supports-brics-expansion-as-summit-continues>
- Ismail, Sumayya. 2023. „A wall of BRICS: The significance of adding six new members to the bloc.“ *ALJAZEERA*, August 24, 2023. <https://www.aljazeera.com/news/2023/8/24/analysis-wall-of-brics-the-significance-of-adding-six-new-members>
- Looney, Robert. 2023. „The BRICS Expansion: Why?“ *MILKEN INSTITUTE REVIEW*, November 29, 2023. <https://www.milkenreview.org/articles/the-brics-expansion-why>

- Modi, Narendra. 2023. „Had an excellent meeting with President @CyrilRamaphosa. We discussed a wide range of issues aimed at deepening India-South Africa relations. Trade, defence and“. *Twitter*, August 23, 2023. <https://twitter.com/narendramodi/status/1694264636080537807>
- O'Neill, Jim. 2001. „Building Better Global Economic BRICS.“ *Global Economics Paper No: 66*, November 30, 2001. <https://www.goldmansachs.com/intelligence/archive/archive-pdfs/build-better-brics.pdf>
- O'Neill, Jim. 2021. „Two decades on, the BRICS promise lingers.“ *International Monetary Fund*, Summer, 2021. <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2021/06/jim-oneill-revisits-brics-emerging-markets.htm>
- Pascual, Mariano. 2023. „The BRICS bloc is riven with tensions.“ *The economist*, August 17, 2023. <https://www.economist.com/international/2023/08/17/the-brics-are-getting-together-in-south-africa>
- Paulo, Sao. 2023. „Brazil's Lula in favor of Argentina joining BRICS bloc.“ *REUTERS*, August 22, 2023. <https://www.reuters.com/world/brazils-lula-says-brics-not-meant-challenge-g7-us-2023-08-22/>
- Rafat, Ahmed. 2020. „How Iran Has Turned Itself Into a Pariah State.“ *KAYHANLIFE*, February 11, 2020. <https://kayhanlife.com/news/kayhan/analysis-how-iran-has-turned-itself-into-a-pariah-state/>
- Richter, Felix. 2023. „The Rise of the BRICS.“ *Statista*, August 22, 2023. <https://www.statista.com/chart/30638/brics-and-g7-share-of-global-gdp/>
- Spellman, Jim. 2017. „China's "BRICS Plus" brings more developing economies to trade table.“ *CGTN AMERICA*, September 4, 2017. <https://america.cgtn.com/2017/09/04/china-2017-summit-brics-plus>
- Stott, Michael. 2023. „Brics Banks strives to reduce reliance on the dollar.“ *Financial Times*, August 22, 2023. <https://www.ft.com/content/1c5c6890-3698-4f5d-8290-91441573338a>
- Sullivan, Joe. 2023. „A BRICS Currency Could Shake the Dollar's Dominance.“ *Foreign Policy*, April 24, 2023. https://foreignpolicy.com/2023/04/24/brics-currency-end-dollar-dominance-united-states-russia-china/#cookie_message_anchor
- Tan, Huileng. 2022. „China and Russia are working on homegrown alternatives to the SWIFT payment system. Here's what they would mean for the US dollar.“ *Business Insider*, April 29, 2022. <https://www.businessinsider.com/china-russia-alternative-swift-payment-cips-spfs-yuan-ruble-dollar-2022-4>
- Wenting Xie, Qingqing Chen. 2023. „China-South Africa friendship at new historical starting point: Xi.“ *Global Times*, August 22, 2023 <https://www.globaltimes.cn/page/202308/1296764.shtml>
- Werr, Patrick. 2023. „Egypt hopes BRICS entry will lure foreign cash, but analysts counsel patience.“ *REUTERS*, August 29, 2023. <https://www.reuters.com/world/africa/egypt-hopes-brics-entry-will-lure-foreign-cash-analysts-counsel-patience-2023-08-25/>